



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის
დირექტორის

ბრძანება № 01-01/06

ქ. თბილისი

11.08.2023 წ.

**„სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით ობსერვატორიაში შესვლისა და გადაადგილების
თავისებურებების შესახებ“ ობსერვატორიის დირექტორის 2023 წლის 10 მაისის #01-01/04
ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

2023 წლის 10 მაისის სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის (შემდგომში - „ობსერვატორია“) დირექტორის გადაწყვეტილებით (ბრძანება #01-01/04) მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით, სარეაბილიტაციო სამუშაოების დაუბრკოლებლად და წარმატებით განხორციელების, ასევე ობსერვატორიის ტერიტორიაზე მყოფი პირების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რისკის პრევენციის მიზნით, დადგინდა ტერიტორიაზე (დაბა აბასთუმანი, მთა ყანობილი) შესვლისა და გადაადგილების განსხვავებული წესი. ეს წესი შეეხო სხვადასხვა, მათ შორის უცხო, პირებს და მისი მოქმედება განისაზღვრა 2023 წლის ბოლომდე.

ბრძანების ძალაში შესვლის შემდეგ, მოქალაქეთა გარკვეულმა ჯგუფმა სხვადასხვა ფორმით გამოთქვა ღია უკმაყოფილება ამ ბრძანებით დადგენილი რეგულაციების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ობსერვატორიამ მათთან სხვადასხვა ფორმატში აწარმოა კომუნიკაცია, საბოლოოდ ეს არ აღმოჩნდა ეფექტიანი და ვერ გადაწყვიტა მოქალაქეთა ამ ნაწილის პრობლემა. ამიტომაც, ობსერვატორიამ განახორციელა ყველა იმ დაინტერესებული პირის საჯარო მოწვევა (<https://www.abao.ge/blogs/sajaro->

motsveva-dialogze) მოლაპარაკებებში მონაწილეობის მისაღებად, ვინც თვლიდა, რომ მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით (ბრძანება #01-01/04) ირღვეოდა.

საჯარო მოწვევას გამოეხმაურნენ პირები, რომლებიც წარმოდგენილნი იყვნენ მოლაპარაკებების მიზნით გამართულ ორივე (25 და 31 ივლისი, 2023 წ.) შეხვედრაზე. შეხვედრის შედეგები განთავსდა საჯაროდ (1. <https://www.abao.ge/blogs/2023-tslis-25-ivlisis-dialogis-shedegi>; 2. <https://www.abao.ge/blogs/2023-tslis-31-ivlisis-dialogis-shedegebi>).

2023 წლის 2 აგვისტოს ობსერვატორიას მომართა მოქალაქეთა გარკვეულმა ჯგუფმა განცხადებით (#957142) და ითხოვა ფაქტობრივი გარემოებების ცვლილების გამო („ობსერვატორიაში მიმდინარე სამუშაოები აღარ არის მასშტაბური“) შეტანილი ყოფილიყო ცვლილება „სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით ობსერვატორიაში შესვლისა და გადაადგილების თავისებურებების შესახებ, ობსერვატორიის დირექტორის 2023 წლის 10 მაისის #01-01/04 ბრძანებაში და ობსერვატორიის ყოფილ თანამშრომლებს და ყოფილი თანამშრომლის ოჯახის წევრებს, პირთა გარკვეული ლიმიტირებული ოდენობით, მისცემოდათ ობსერვატორიის ტერიტორიაზე (დაბა აბასთუმანი, მთა ყანობილი) შესვლისა და გადაადგილების უფლება.

ტერიტორიაზე (დაბა აბასთუმანი, მთა ყანობილი) რეაბილიტაციის პროცესის დროის მიმდინარე მონაკვეთში დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების ინტენსივობის კლებისა და სამუშაოების სახეობების გათვალისწინებით, ამასთან, რეაბილიტაციის დაუბრკოლებლად და წარმატებით განხორციელების, ობსერვატორიის ტერიტორიაზე მყოფი პირების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რისკის პრევენციის, ასევე, ობსერვატორიის ყოფილი თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრების მიერ ამ ტერიტორიაზე განლაგებულ უძრავ ქონებაში - ბინაში/კოტეჯში არსებულ მათ პირად ნივთებზე (მომრავი ქონება) საკუთრების უფლების რეალიზების ხელშეწყობის მიზნით,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 ნოემბრის №227/ნ ბრძანებით დამტკიცებული ობსერვატორიის წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ და „პ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და თ. ტოროშელიძის, ლ. ტოროშელიძის, ზ. კაპანაძის, ზ. ნიბლაძისა და სხვათა კოლექტიური განცხადების (#957142, 02.08.2023 წ.) გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით ობსერვატორიაში შესვლისა და გადაადგილების თავისებურებების შესახებ“ ობსერვატორიის დირექტორის 2023 წლის 10 მაისის #01-01/04 ბრძანებაში, კერძოდ, მის დანართში და ჩამოთვლილ პუნქტებს **დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტები:**

„6. ობსერვატორიის ყოფილ თანამშრომელს ან ყოფილი თანამშრომლის ოჯახის წევრს ან მის კანონიერ წარმომადგენელს ობსერვატორიის ტერიტორიაზე (დაბა აბასთუმანი, მთა ყანობილი) შესვლისა და გადაადგილების უფლება შეიძლება მიენიჭოს, თუ ობსერვატორიას მიმართა წერილობითი განცხადებით, რომელშიც აღნიშნულია შემდეგი:

- ა) სტუმართა ვინაობა (გვარი, სახელი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ტელეფონი);*
 - ბ) დასტურს მასზედ, რომ აანაზღაურებს (გადაიხდის) ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაში - ბინაში/კოტეჯში, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას, მოხმარებული ელექტრო ენერჯის ღირებულებას, ობსერვატორიაში დადგენილი წესის შესაბამისად და დადგენილ ვადაში;*
 - გ) დასტურს მასზედ, რომ უზრუნველყოფს განცხადებაში დასახელებული პირები დაემორჩილონ ადმინისტრაციის/უფლებამოსილი პირის და ობსერვატორიის დაცვის წარმომადგენლის კანონიერ მითითებებს, ტერიტორიაზე განთავსებულ გამაფრთხილებელ და ამკრძალავ ნიშნებს, ითანამშრომლებენ ობსერვატორიასთან და გაგებით მოეკიდებიან დადგენილ შეზღუდვებს შრომის უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად, უსაფრთხო სამუშაო/საარსებო გარემოს შექმნისა და შენარჩუნებისათვის.*
7. ტერიტორიაზე (დაბა აბასთუმანი, მთა ყანობილი) შესვლისა და გადაადგილების უფლების მინიჭების შესახებ წერილობით განცხადებას ობსერვატორია განიხილავს **3 კალენდარული დღის ვადაში.**
 8. სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით ობსერვატორიის ტერიტორიაზე (მთა ყანობილი) შესვლისა და გადაადგილების განსხვავებული წესის მიზნებისათვის, **ოჯახის წევრი განიმარტოს, როგორც აღმავალი შტოს ნათესავი, დაღმავალი შტოს ნათესავი და მისი მეუღლე, გერი და გერის მეუღლე, და და ძმა,**

დისა და ძმის მეუღლეები და შვილები, მშობლის და შვილის გერები, მათი მეუღლეები და შვილები).“

2. განისაზღვროს ბრძანების აღსრულებაზე, მათ შორის ობსერვატორიის ტერიტორიაზე (მთა ყანობილი) დაშვებულ პირთა რაოდენობის მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირად მთავარი ასტრონომ-მენეჯერი, **ვ. ყულიჯანიშვილი**.
3. ბრძანება ხელმოწერისთანავე გამოცხადდეს საჯაროდ - www.abao.ge.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს მისი საჯაროდ გამოცხადების დღიდან და მოქმედებს **2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით**.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N6).

დირექტორი



რევაზ კანიშვილი